№ 129

წელიწადი მეორე

მთავრობის ორგანო

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 15 ივნისი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი საყალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან საღამოვის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## მილიციის სამმართველო აცხადებს,

რომ ის პირნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ ანგარიშები იმ ტანსაცმელისა, რომელსაც მილიციამ გაუცვალა რეკვიზიცია თავის საჭიროებისათვის, ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ შემდეგ ანგარიშები აღარ მიიღება. 1064

## ოფიციალური განყოფილება.

## ბრძანება

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

13 ივნისი, 1919 წ.

დამატებად № 54 ბრძანებისა.

№ 61

დამატებად და გასავითარებლად ა. წ. 19 მაისის № 54 ჩემი ბრძანებისა განვმარტავ, რომ გაზიდვის აკრძალვა აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით ეხება მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც მიმოიზიდება საქართველოს საზღვრებში, საზღვარ-გარედ საქონლის გასაზიდავად ნებართვებს იძლევა საქონლის გამცვლელი კომიტეტი და ამიტომ უკანასკნელის ნებართვებით საქონლის გაზიდვა საზღვრებზე არ უნდა ფერხდებოდეს: სურსათსანოვაგის საზღვრებიდან გატანისთვის, გარდა საქონლის გამცვლელ კომიტეტისა, საჭიროა აგრეთვე ნებართვა ცენტრალურ სასურსათო საბჭოსი, რომელიც ასეთ შემთხვევებში უთანხმდება აღნიშნულ კომიტეტს.

რაც შეეხება სატრანზიტო ტვირთის ფოთიდან ან ბათომიდან ადერბეიჯანში გატანას, ასეთი სწარმოებს უკვე არსებულ წესის თანახმად.

გზათა დეპარტამენტის

დირექტორი **ბ. ჭიჭინაძე.**

გზათა დეპარტამენტის კანცელარიის

მმართველი **ბარათაშვილი.**

## განკარგულებანი

**გზათა მინისტრისა.**

12 ივნისი, 1919 წ.

№ 60

**ვამტკიცებ:** კახეთის რკინის გზის მმართველის თანამდებობაზე ა. წ. 27 მაისიდან, თანახმად კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობის ა. წ. 27 მაისის არჩევანისა, ინჟენერ იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს.

გზათა მინისტრი **ხომერიკი.**

**იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის სადმი.**

12 ივნისი, 1919 წ.

№ 142.

**შტატ გარეშე დარჩეს:** ა. წ. ივლისის 1-დან შტატების შემცირების გამო, კანცელარიის მოხელენი ზარნაზ ლაზარტყავა და დიმიტრი ნასიძე, სალიკვიდაციო ფულის მიცემით საერთო წესით.

კანცელარიის დირექტორი **გ. ჟორდანია.**

**საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.**

5 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 29.

**გამწესებულია:** ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე გრიგოლ ფაჩუაშვილი ზედამხედველად დაბალი ჯამაგირით მლეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში 6 ივნისიდან 1919 წ.

**დაშვებულნი არიან:** მოქალაქეები ალექსი იაკოვლევი, დროებით აღმასრულებელი უნცროსს მექანიკოსის თანამდებობაზე მაღალი ჯამაგირით, პარმ. ნ გაბუნია დროებით აღმასრულებელ ზედამხედველის თანამდებობაზედ დაბალ ჯამაგირით ორივე თანახმად 560 მუხლის ძალით მთავრობის განკარგულებისა ტომი 3 გამოცდა 1896 წლისა თანამდებობის შესრულებისათვის ჯამაგირით. იაკოვლევი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, გაბუნია აბასთუმნის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში ორივე 6 ივნისიდან 1919 წ.

**დანიშნულია:** ფოსტა ტელეგრაფის მოხელე მე-4 ხარისხის თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ივანე დავითნიძე ენისელის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად პირველ ივნისიდან 1919 წ.

**გადაყვანილნი არიან:** ფოსტალიონები ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებისა—სუფსის—ვასილ ბახტაძე, ეკატერინოვკის—გრიგოლ კალანდია, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მე 5 ხარისხის მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი შულავრის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ივანე კვარაცხელია. ზედამხედველები დაბალი ჯამაგირებისა: კობის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ივანე კომახიძე, მცხეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შალვა ჭეიშვილი, აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მანუელ ჯიშკარიანი, უფროსი მექანიკოსი ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ილია ჭ ლიძე; ბახტაძე—წნორის-წყალში, კალანდია—სოხუმში, კვარაცხელია—ოჩემჩირეში, კომახიძე—მცხეთაში, ჭეიშვილი—კობში, ჯიშკარიანი—ბაღდადში, ჭ ლიძე—ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში სულ ყველანი პირველ ივნისიდან 1919 წ. მხოლოდ კალანდია, კვარაცხელია, ჯიშკარიანი თანახმად თხოვნისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## ამონაწერი

**სიღნაღის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის**

ბრძანებათა წიგნიდან

8 მაისი, 1919 წ.

№ 7 § I.

ვინაიდან ჩემდამი რწმუნებულ სამომრიგებლო ოლქის ყრილობის მდივნის კარახანოვის ხსენებულ თანამდებობაზე დატოვება ყრილობის საქმიანობისათვის აუცილებლად მიმაჩნია მისი საქმის მოყვარულობის, ენერგიის და კეთილსინიდისიერების გამო და ამავე დროს კიმთელი სამომრიგებლო ოლქისათვის დიდს საჭიროებას წარმოადგენს სასამართლოს ბოქაულის თანამდებობაზე ვისიმე გაწესება, მით უმეტეს, რომ უკვე მრავალი მოთხოვნილებანი ჩემს სახელზე მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ მიცემულ აღმასრულებელ ფურცლებით მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანის შესახებ და ვინაიდან მიუხედავად კერძო მიმართვის და ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში განცხადების გამოქვეყნებისა, აქამდის არავის არ გამოუთქვამს სურვილი სასამართლოს ბოქაულობის თანამდებობაზე ჩარიცხვისა, ამიტომ **საჭიროდ ვსცან:** კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კარახანოვი, იგივე კარახანოვ, დატოვებულ იქნას სიღნაღის სამომრიგებლო ოლქის ყრილობის მდივნად და ამავე დროს დაეკისროს მას იმავ ყრილობის და სიღნაღის სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაულობის მოვალეობის აღსრულება, ყრილობის ბოქაულის ჯამაგირის მიცემით ამა წლის მომავალ ივნისის პირველიდან.

10 მაისი, 1919 წ.

№ 8 § I.

სიღნაღის სამომრიგებლო უბნის დროებითი ყოფილ მდივნის თანაშემწე იოსებ იოსების ძე გოგელაური ჩარიცხულ იქმნას მაჩხაანის სამომრიგებლო უბნის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად ამა მაისის 15.

20 მაისი, 1919 წ.

№ 9 § I.

ქოდალოს სამომრიგებლო უბნის მდივანი ბეგლარ გიორგის ძე ბაწელაშვილი ჩარიცხულ იქმნას ამავე უბნის სასამართლოს ბოქაულად და დაევალოს მასვე გურჯაანის უბნის სასამართლოს ბოქაულობა დროებით ამა წლის მომავალ ივნისის პირველიდან.

24 მაისი, 1919 წ.

№ 10 § I.

ზემოხსენებული ჩემი ბრძანების შესაცვლელად, ბეგლარ გიორგის ძე ბაწელაშვილი ჩარიცხულ იქნას, თანახმად თხოვნისა, გურჯაანის უბნის სასამართლოს ბოქაულად და დაევალოს მასვე დროებით ქოდალოს უბნის სასამართლოს ბოქაულობა იმავე ივნისის პირველიდან.

28 მაისი, 1919 წ.

№ 11 § I.

ვინაიდან ჩემდამი რწმუნებულ სამომრიგებლო ოლქის ყრილობის მსახური ვიქტორ ნიკონორის ძე იენინი მიუხედავად ჩემის მრავალი გზის გაფრთხილებისა კვლავ განაგრძობს სამსახურის შეუსაბამო საქციელს, რომელიც გამოიხატება, როგორც ჩემის განკარგულებათა და დავალებათა განზრახ შეუსრულებლობაში და მოსამსახურე პირთა მიმართ ბრიყვულ და კადნიერ მოქცევაში, აგრეთვე, ვინაიდან მისივე უგულისყურობის და დაუდევრობის გამო ჩემდამი რწმუნებულ ყრილობის შენობაში დროებით იქ მყოფ გურჯაანის მომრიგებელ მოსამართლის ვასილ ფარნაოზის ძის ყიფიანის ბარგიდან მოპარულ იქნა სხვა და სხვა ნივთები ლ რომ ამგვარ შემთხვევებს წინადაც ჰქონია ადგილი ამიტომ ვიქტორ ნიკონორის ძე იენინი დათხოვნილ იქნას თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ამა წლის ივინისის პირველიდან.

ყრილობის თავმჯდომარე **შ. ტატიშვილი**

**ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებათა წიგნიდან.**

11 ივნისი, 1919 წ.

№ 98.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, ლაგოდეხის საგამომძიებლო უბნის საქმის მწარმოებელი თარჯიმანი სარქის მელიქის ძე ტერ კაზაროვი 1919 წელს ივნისის პირველიდან.

№ 102

დაინიშნა არტემა გასპარის ძე ზურაბოვი ლაგოდეხის სასამართლოს გამომძიებლის საქმის მწარმოებლად—თარჯიმანად 1919 წელს ივნისის პირველიდან.

12 ივნისი 1919 წ.

№ 104

გამორიცხულია ტფილისის საოლქო სასამართლოს მოსამსახურეთა სიიდან იმავე სასამართლოს მდივნის თანაშემწე ნიკოლოზ ხატიაშვილი, ქ. ტფილისის სამომრიგებლო ყრილობის სასამართლოს ბოქაულად დანიშვნის გამო 1919 წ. 1 ივნისიდან.

თავმჯდომარე სასამართლოსი **პ. კიზირია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

**7 ივნისის სხდომა.**

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია

მინისტრები ბ. ბ. გეგეჭკორი, რამიშვილი, კანდელაკი. მინისტრთა ამხანაგები: ბ. ბ. ჭიჭინაძე, ცინცაძე, საბახტარაშვილი, გელეიშვილი, გედევანიშვილი; ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ბ. აფხაზი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე.

საქმეთა მართველი ბ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ი. დიდებულიძე.

**მიწის კანონი.**

ახალციხე ახალქალაქის წარმომადგენელთა მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ მაზრებში მიწის კანონის გატარების თაობაზე გადაეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს დასკვნისათვის.

**შემოტანილი საქონელი.**

მთავრობის 3 ივნისის დადგენილებით დაარსებულ შემყიდველ ბიურომ ოპერაციების წარმოების დროს თვითეულ კერძო შემთხვევაში, ევროპიდან შემოტანილ საქონლის შეძენა განაწილებაში დაიხმაროს ვაჭრობა მრეწველობის იმ დარგის წარმომადგენელნი, რომლის ნაწარმოებიც საჭირო იქნება შემოტანილ საქონელზე გადასაცვლელათ შემდეგი წესით: სათანადო წარმოების დარგის წარმომადგენელნი ან შემოვიდნენ ბიუროში როგორც მონაწილენი მთელი ოპერაციებისა ან და თუ ეს მათთვის მისაღები არ იქნება გადასცენ აღნიშნულ ბიუროს ოპერაციისათვის საჭირო საქონელი მთავრობის გარანტიით, საფასურის გადახდაში. რაიცა შეეხება ინგლისიდან მოსულ შაბიამნის და გოგირდის გამოყიდვას ეს საქმე მოწესრიგებულ იქნას სოხუმის ურთიერთ ნდობის საზოგადოებასთან შეთანხმებით და აღნიშნულ საქონლის მისაღებათ გაიგზავნოს ბათომში სიმონ ხუნდაძე.

**კანონ-პროექტები და პროექტი.**

კანონ-პროექტი, მევენახეობის და მეღვი-

ნეობის ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის კომიტეტების გაუქმებისა და სამაზრო საერობო გამგეობებთან მევენახეობისა და მეღვინეობის სამაზრო კომიტეტების დაარსებისა, მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

—

კანონ-პროექტი ქ. ტფილისის სასარგებლოთ ქალაქის მცხოვრებთაგან ერთდროული სანიტარული გადასახადის აკრების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

—

პროექტი დეკრეტისა არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის მაზრასთან შეერთებისა მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ხიდის ასაშენებლათ.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 645,000 მანეთი, ფოთში მდინარე რიონის ჩრდილოეთ ტოტზე ხიდის ასაშენებლათ მხოლოდ იმ პირობით, რომ ხიდის აშენების ხარჯი არ აღემატოს აღნიშნულ თანხას და აუნაზღაურდეს ხაზინას ფოთის სასარგებლოთ დაწესებულ საფუთო გადასახადის შემოსავლიდან.

**საქართველოს დეპეშათა სააგენტოსთვის.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის, იმ პირობით, რომ ზემოთ აღნიშნული თანხა უკანვე დაუბრუნდეს ხაზინას, როდესაც დეპეშათა სააგენტოს ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნება.

**გეოლოგიურ გამოკვლევისთვის.**

მოხსენება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრისა 1919—20 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში გეოლოგიურ გამოკვლევებისათვის 157,300 მანეთის გადადების შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას, სათანადო დეკრეტის სახით.

**სააქციზო წესდების დარღვევის გამო.**

მოხსენება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრისა 1919 წლ. 20 მაისამდე სააქციზო წესდების დარღვევას გამო წარმოებულ საქმეთა მოსპობის შესახებ გადაეცეს დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სიიურისკონსულტო ნაწილს.

**სატუსაღოების საჭიროებისათვის.**

მოხსენება იუსტიციის მინისტრისა 3.233 888 მანეთის კრედიტის გაღების შესახებ რესპუბლიკის სატუსაღოებისათვის საჭირო სანოვაგის შესაძენათ (1 იანვრიდან 1 ელ ივნისამდე) გაწეულ ხარჯების (ვალების) დას ფარავათ 1) გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კონტროლიორს და ფინანსთა მინისტრს 2) სანამდი აღნიშნული მოხსენება არსებითათ იქნება განხილული მთავრობის მიერ 3 ივნისის დადგენილებით გაღებული თანხის გარდა გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 100,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან მოხსენებაში აღნიშნულ საჭიროებისათვის.

**საქმის მოსპობა.**

სოხუმის პირველ უბნის გამომძიებლის პოპოვის საქმე (მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრის შესახებ) მოისპოს.

**სამსახურიდან განთავისუფლება.**

ქუთაისის საგანგებო სასამართლოს წევრი მიტროფანე ჯანელიძე განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან ამა წლის მაისის 3-დან.

**დამატებითი ჯამაგირები რუსეთის ხაზინაზე.**

მოხსენებაში აღნიშნულ სოხუმის მე 2 უბნის მომრიგებელ მოსამართლეს პ. პრასლოვს ტფ. ოლქის სასამართლოს წევრს ი. კუმანოვიჩს ტფ. სასამართლო პალატის წევრს დ ჩერნიკს, ტფ. სასამართლო პალატის წევრს ს. გ. მიქელაძეს და ამავე სასამართლო პალატის წევრს კ. შნეიდერს დამატებითი ჯამაგირების ანგარიშში მიეცეთ საკრედიტო მოწმობები რუსეთის ხაზინაზე.

**სასჯელის პატიება.**

ასლან ბექირ-ოღლის თხოვნა შეწყნარებულ იქნას და სავსებით განთავისუფლდეს სასჯელისაგან.

**სასჯელის შეცვლა.**

გიორგი ფილიაშვილის, გორის ტრიბუნალის 1918 წლის ივლისის 11-ის განაჩენით დაკისრებული სასჯელი შეეცვალოს ოთხი წლის კატორღით ყველა მოქალაქობრივი უფლებების აღდგენით.

**უარი შეწყალებაზე.**

ივანე ბონდარევს შეწყალების შესახებ უარი ეთქვას.

**ბ-ნ ნ. ჟორდანიას გამგზავრება.**

ივნისის 15 დან მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება მთავრობის თავმჯდომარის ბ. ჟორდანიას ტფილისში დაბრუნებამდე საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პ. გეგეჭკორს დაევალა.

**ქონების შემოსავლით სარგებლობა**

სანამდი გადაწყდებოდეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა, საკათალიკოსო საბჭოს მიეცეს საშუალება ისარგებლოს სასულიერო სემინარის შემოსავლით.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**საჯარო ვაჭრობა.**

მიწათ მოქმედების მინისტრის ნებართვით 19 ივნისს დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა ამ წლის მოსავლისა შემდეგი ეროვნულ მამულების ხეხილების ბაღებისა: 1. სკრის ყოფილი ავსარქისოვის და ფრიდონოვისა, მუხრანის, ყარაიაზის საცდელი მინდვრის ყოფილი არამიანცის და მანთაშევის მამულებისა ბორჩალოს მაზრაში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ თუნდა შემოიტანონ მიწ. მოქმედების სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ. № 24 მეორე სართულში) წერილობითი განცხადება ერთ მანეთიან ღირების მარკით და ბეთ 50% იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე.

**გამოცდები.**

მიწათ-მოქმედების გამგებლობის ქვეშ მყოფ ტფ. კულტურულ ტეხნიკურ კურსებზე გამოცდები დაიწყო. აგრეთვე დაიწყო გამოცდანი სასოფლო სამეურნეო კურსებზე.

**აგარაკი დამსახურებულ მოღვაწეთ.**

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა დაუთმოს ერთი აგარაკი დაავადებულ და დამსახურებულ მოღვაწეთათვის შინ. საქმ. სამინისტრო მოსახელეობლათა სცნობს დაუთმოს აგარაკი კოჯორში.

**სამინისტროს ფულის გამტაცებელნი**

გუშინ მიწ. მოქმ. სამინისტროს მოლარეს სისხლის სამართლის მილიციამ წარუდგინა ერთი თავდამსხმელთაგანი, გვარათ ნიკონოვი, რომელიც მოლარემ იცნო. ამ საქმეზე დაპატიმრებულია გარდა ნიკონოვისა ლევიცკი, რომელიც აგრეთვე იცნო მოლარემ. დაიმალა მხოლოდ მესამე მონაწილე თავდასხმისა მარუსალოვი. ლევიცკიმ განაცხადა გამოძიების დროს, რომ იმ 150000 მანეთიდან, რომელიც გავიტაცეთ სამათ გავიყავით თითოს 40 ათასი მანეთი გვერგო, დანარჩენი 30 ათასი მანეთი მივეცით იმ მოხელეს, რომელმაც ამ ფულის მიღების ასავალ-ჩასავალი გვასწავლაო.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

(დასასრული).

**ტიგრანიანი** მე მსურდა მცირედი ცნობა მომეცა იმის შესახებ, რაც აქ წარმოსთქვა ჩემმა ამხანაგმა, რომ ისეთი შთაბეჭდილება არ გამოიტანოს ვინმემ, თითქოს ჩვენი დელეგაცია ნაკლებ ყურადღებით მოეპყრა 29 მაისის კერძო თათბირზე მოსმენილ საგანს მე ვფიქრობ: რომ თქვენ, კარგათ გაცნობილი იყოთ ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობილობას ერევანთან, დამერწმუნებოდით, რომ ეს დრო საკმარისი არ არის ჩვენთვის, თქვენ ძალიან ცოტათი ხართ ჩახედულნი იმ ფაქტში, თუ რა განსხვავებაა სომხეთისა და საქართველოს ცხოვრებაში, რაც თქვენში ნორმალურათ ითვლება ის ჩვენთვის არა ნორმალურათ, ჩვენში ჯერ კიდევ უხსოვარ ჟამის წესებია გამეფებული. მასთან ეს ისეთი საკითხი არ არის, რომელიც ტელეგრაფის საშუალებით შეიძლებოდეს გადასცეს კაცმა და მიიღოს პასუხი. ამ საქმეზე სპეციალათ უნდა წავიდეს კაცი, აუხსნას, დაარწმუნოს და ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით შევწყვიტოთ დროებით სხდომა, ვინაიდან ჩვენი დელეგაციაც, როგორც აზერბეიჯანისა, მოსწყდენ ჩვენს მთავრობებს. ჩვენ ისეთი დირექტივები გვქონდა მოცემული, რომ ერთმეორის თავდებობის, საერთო და შეთანხმებულ თავდაცვის საკითხი უნდა გადაჭრილიყო მას შემდეგ, როდესაც ტერიტორიალური დავანი გადაწყდებოდენ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ე ტერიტორიის დამოუკიდებლობაა. განა შესაძლოა შეთანხმება ტერიტორიის დაცვის საქმეში, როდესაც სუფევს ტერიტორიალური დავანი? მაგალითად, როგორ უნდა შეხედოს სომხეთა დელეგაციამ ყარაბახ? ვის თავდაცვის საგანს უნდა შეადგენდეს ეს რაიონი—აზერბეიჯანისა თუ სომხეთისა? პასუხათ იმაზე, რომ შესაძლოა საფრთხეს მოველოდეთ როგორც დენიკინის, ისე სამხრეთით-ოსმალეთიდან, აზერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მას ეს საფრთხე წარმოუდგენია იმ სახით, რა სახითაც ეს საკითხი შეეხება რესპუბლიკათა ტერიტორიებს ამიერ კავკასიაში. საფრთხე რომ ეხებოდეს, მაგალითად ლაშქრებს, მაშინ სხვა საქმეა. როდესაც ჩვენ ჩვენ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგავართ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ყოფილ რუსეთის ტერიტორია და რუსეთს უნდა ჩამოვშორდეთ. როგორც ჩვენმა დელეგაციამ ისე თქვენმა დელეგაციამ განაცხადა პარიზში, რომ ჩვენ ვრაცხთ სომხეთს დამოუკიდებელათ, რომ ჩვენ ვრაცხ ჩვენ თავს ჩამოშორებულათ რუსეთისაგან როდესაც ჩვენ ვამბობდით პარიზში, რომ გვსურს შევინახოთ სომხეთი იმავე საზღვრებში, მაშასადამე ჩვენ ვსცნობთ ჩამოშორებულათ ზოგიერთ რაიონებს ოსმალეთიდანაც. გამოდის რომ რამდენადაც ჩვენ სომხეთის ჩამოშორება გვსურს რუსეთიდან თქვენ ჩვენთანა ხართ და როდესაც ჩვენ ჩამოშორება გვინდა ოსმალეთიდან—თქვენ ჩვენ წინააღმდეგა ხართ.

**გეგეჭკორი**. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მსჯელობა ასცდა იმ გზას, რომელიც გაკვლეული გვქონდა დასაწყისიდან. მე ვფიქრობ, რომ შემდეგში ეს არ უნდა მოხდეს. აქ სხდომებს ახდენს ამიერ კავკასიის კონფერენცია, ასე რომ პროგრამის გარეშე საქმეების საჭიროება არ მოითხოვს. მე მთხოვნელი ვარ მსჯელობა იქონიოთ მხოლოდ დასმულ საკითხის გარშემო.

**მამიკონიანი**. აქ გაუგებრობა გამოვიდა. მე არამც თუ არავის არ ვუსაყვედურებდი, არამედ სრულიათ ობიექტიურათ ვიპყრობდი წარსულ წლის სისხლის ამბებს. მე ვსთქვი იმიტომ კი არა, რომ ვისმეს ვუსაყვედურო, არამედ იმ მიზნით, რომ დავამტკიცო, რომ დეკლარატიული განცხადება მიუღებელია და არც დასაშვები. ამიერ კავკასიის ერების დეკლარატიული განცხადება წარსულ წელს ძლიერ ლამაზი იყო—იმაზე უფრო მაზესი რა იქნებოდა, როცა ამიერ კავკასია აცხადებდა რომ იგი ტრაპიზონში დაიცავს სომხეთის რესპუბლიკის ავტონომიას, სინამდვილემ კი ცხოვრებაში დაამტკიცა, რომ ეს მხოლოდ დეკლარაცია გახლდათ, ამიტომ მე ვფიქრობ ამ საკითხს უფრო სხვანაირათ უნდა შევხედოთ და ღრმათ გულდასმით მოვისმინოთ იგი. სულმუდამ ჟამს ამგვარ საკითხებს არჩევენ ყოველ მხრიდან, ყოველ სახელმწიფოთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით განხილვის შემდეგ თავიდან იცდენენ ყოველ გვარ უთანხმოებას, რომელიც კი მოსალოდნელია. 29 მაისის სხდომაზე ეს საკითხი ასე არ იყო დასმული. არაფერი არ იყო ნათქვამი სამხედრო-დიპლომატიურ ზომებზე. უმეტესათ დეკლარატიულ გამოსვლებზე იყო ლაპარაკი, რომელსაც ჩვენ არ ვფიქრობდით ამნაირი მნიშვნელობა მიგვეცა. ეს საკითხი სერიოზულია, უნდა განვიხილოთ და გავსცეთ პასუხი, მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის გვავიწყდება, რომ ჩვენ სულ სხვა და სხვა განცალკევებულ სახელმწიფოებს წარმოვადგენთ. მე პირადად მივესალმები იმ აზრს, რომ არსებობს საერთო გრძნობა ამიერ კავკასიისა, მაგრამ ჩვენ ხომ დავნაწილდით ცალკ ცალკე ნაწილებზე და მით უნდა შევიმეცნოთ ერთნაირი ეგოიზმი და განვიხილოთ საკითხი ჩვენ ერების ინტერესებისადა მიხედვით. გუშინ დეპეშა იყო, ყარაბაღში სისხლი იღვრება ტერიტორიის გამო. მე არ ვიცი ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იქ ვიღაცას ორი ინგლისელი ჯარის კაცი დაუჭრიათ და ერთი მოუკლავთ. მაშასადამე იბადება კითხვა, უკეთესი არ არის, რომ უწინარეს ყოვლისა ყველა ეს საკითხი გადასწყდეს ერთმანეთს შორის? უმრავლესობა სადავო კითხვებისა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც გართულების გამოწვევა შეუძლიან, უნდა გადასწყდეს იმისთვის, რომ მომზადებულ იქნას ნიადაგი ასეთ დიდ საკითხების გადასაწყვეტად. ნოე ბესარიონის ძე მუდმივ ასეთ სიტყვებს იშველიებს: „სხვა წვრილმანი საკითხებიო“. სომხეთა საგარეო მინისტრმა კი აგიხსნათ, რომ სომხეთში წერილის მისვლას 9 დღე უნდა და რომ სომხეთში მატარებლები არ არის გარდა საბარგოსი, რადგანაც 17,000 ვაგონიდან 7,000 ვაგონი კავკავის რკინის გზაზე მუშაობს, ხოლო დანარჩენი 10,000 ვაგონი აზერბეიჯანსა და საქართველოში მუშაობს. ამ 10,000 ვაგონიდან სომხეთს მხოლოდ 400 ვაგონი რჩება. რასაკვირველია, ეს „წვრილმანი საკითხებია“. არა, ეს საკითხი ჩვენთვის სიკვდილ სიცოცხლის საკითხია. ჩვენ არ ვიცით, რომელი საფრთხე უფრო საშიშია ჩვენთვის: ეს თუ სხვა. ეს მაგალითი საკმარისი არ არის ჩვენი მდგომარეობის აღსაწერად და იმის დასანახველად, თუ ჩვენი ფიქრი რა მხარეს არის მიპყრობილი: ჩვენ ვფიქრობთ ჩვენს მშიერს ხალხზე. ჩვენის ტერიტორიის მოწყობაზე, რომელიც დღემდე დასახლებულია ლტოლვილებით, რომელთაც არაფერი აქვთ საკმარისი პურიც კი. ასეთ პირობებში და ჩვენის ხალხის ასეთს მდგომარეობაში 12 დღე საკმარისი არ იყო, რომ ჩვენ მთავრობას გამოვლაპარაკებოდით. აი რის თქმაც მინდოდა.

**ნ. რამიშვილი** მე იმ აზრით არ ვლაპარაკობდი, რომ ვისმე წავიკიდებოდი, მაგრამ შეუძლებელია დუმილით შევხვდეთ ერთს განცხადებას და მეც მსურს ვუპასუხო. აქ ლაპარაკი იყო ფრონტის დაცვის თაობაზე და ითქვა ისიც, რომ „თითქმის მთელი სიმძიმე ჩვენ დაგვაწვა მხრებზე“-ო. უნდა აღვიარო, ეს განცხადება სრულიად უსაფუძვლოა. ხალხი, რომლის წარმომადგენლები ჩვენა ვართ, ისევე ღვრიდა სისხლს, როგორც სხვა. აქ ითქვა, რომ საკითხი სხვანაირად იყო დასმული 29 მაისსაო. უნდა განვაცხადო, რომ მაშინ, როგორც ამაში იქმებით დარწმუნდებით, იდგა საკითხი სერიოზულ საფრთხის შესახებ დენიკინის მხრით და იმის თაობაზე თუ ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო კონფერენციაზე: პროტესტი გამოეცხადებინა, თუ სამხედრო ზომები მიეღო. აღიძრა კიდეც საკითხი ნეიტრალიტეტის შესახებ. ჩვენ ომს ვაწარმოებთ, თქვენ რას იზამთ? იომებთ, თუ არაო? მაგრამ საქმე ამ 12 დღეში კი არა სხვა რამეშია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ თორმეტ დღეში მაინც შეიძლებოდა სომხეთის მთავრობასთან გამოლაპარაკება დეპეშით. ახლა კითხვა სულ სხვა სახეს იღებს: რა დავიცვათო, რომელი ტერიტორია, რომელი დამოუკიდებლობა; უტერიტორიოდ თავის დაცვა შეუძლებელიაო. ეს მართალია, მაგრამ ყოველგვარ სწორი დებულების მიყვანა შეიძლება უაზრობამდე. უტერიტოროთ შეუძლებელია რაიმე დამოუკიდებლობა, მაგრამ სატერიტორიო დავის დროს შესაძლებელია შეერთებული გამოსვლა. თუ თქვენთვის საკმარისი არ არის მთიელთა გაკვეთილი, პოლონელთა და უკრაინელთა მაგალითს მოგაგონებთ. იმათ შორის დიდი დავაა, მაგრამ როდესაც თავი იჩინა ბოლშევიკურმა საფრთხემ, მაშინ პოლონელნი და უკრაინელები, მიუხედავად უთანხმოებისა სატერიტორიო საკითხებში, იძულებულნი იყვნენ ხელიხელ ჩაკიდებულნი გამოსულიყვნენ. ეს ფაქტია. შემდეგ წარმოვიდგინოთ ერთის წამით, რომ ის საფრთხე ოსმალეთის მხრივ, რომელზედაც აქ ლაპარაკობდნენ, ცხადი გახდა, ჩვენ ეს შესაძლებლათაც მიგვაჩნია,— მაშინ სტეფანე გრიგორის ძე და სირაკან თადეოზის ძე როგორ გვიბრძანებენ: რადგან საზღვრების დავა გადაწყვეტილი არ არის, ამიტომ თქვენ დაიცავით ოზურგეთის მაზრა, ჩვენ კი არზრუმის ვილაიეთს დავიცავთო? საკითხის ასე დაყენება სახელმწიფოებრივი არ არის. თუ ძალით მოვინდომებთ, მაშინ ხომ ყველა საკითხის ჩამოშორება შეიძლება. ჩვენ გვაქვს გარკვეული გადაწყვეტილება სატერიტორიო დავისა. ჩვენ წინადვე დავთანხმდით და ვაღიარეთ პრინციპი არბიტრაჟისა. ჩვენთვის სულ ერთია, საიდან მოგველის საფრთხე: ჩრდილოეთიდან, თუ სამხრეთიდან. ჩვენი სახელმწიფოს დაცვა უმთავრესი საკითხი უნდა იყოს, თორემ ვიდრე ამ წვრილ საკითხებს გადავწყვეტდეთ, შეიძლება მოგვადგეს მესამე,—სულ ერთია საიდან იქნება იგი-და მაშინ აღარც ჩვენი დამოუკიდებლობა იქნება და აღარც ჩვენი ხალხი, რადგანაც საფრთხე, რომელიც ჩვენ მოგველის, მართლაც ძალიან დიდია, რადგანაც იგი ჩვენს ხალხს ფიზიკურ განადგურებით ემუქრება ისევე, როგორც ეს შარშან იყო. აი როგორ ვაყენებთ საკითხს. ჩვენ სერიოზულ მომენტს განვიცდით და ყველა ეს საკითხი ასეთს ფარგლებში უნდა მოვათავსოთ, რომელიც საჭიროა მის სერიოზულად გადასაწყვეტად.

**გეგეჭკორი**. ნება მომეცით კამათი დასრულებულად ჩავთვალო. უნდა აღვნიშნო, რომ ქართველთა მიერ წამოყენებულმა რეზოლიუციამ ერთის მხრიდან სრული დასტური მიიღო, მხოლოდ მეორე—სომხეთა დელეგაციის მიერ ნათქვამი იყო, რომ ჩვენ რწმუნება და დირექტივები არა გვაქვს რეზოლიუციაში აღძრულ საკითხების გადასაწყვეტადაო. მათ თავის მთავრობას მოხსენება უნდა წარუდგინონ და მისი დირექტივები მიიღონ. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ კომისიებში მოხსენებები მოსმენილ იქნა და ბევრი საკითხის

შესახებ შეთანხმება მოხდა. დარჩა კიდევ მთელი რიგი გადასაწყვეტ საკითხებისა, რომლის გამოც კომისიებში მუშაობა გრძელდება. ნება მომეცით ერთი კვირა ჩავთვალო სამუშაოს დასრულების ვადად.

სხდომა საღამოს 10 საათზე იხურება.

# დამფუძნებელი კრება

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე. მდივნობს ქრისტინე შარაშიძის ასული.

კრება იწყება 11 საათსა და 40 წუთზე.

**საბოლოო ტექსტები.**

**ქ-ნი ანნა სოლოღაშვილის ასული** მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს საზღვარ-გარეთ ვაჭრობის მოსაგვარებლად საჭირო ხარჯისათვის 2 მილ. მანეთის გადადების დეკრეტისას და საბოლოო ტექსტს სახელმწიფოს დაწესებულებათა შესანახავ ყოველ თვიურად 65827270 მ. გადადების დეკრეტისას.

დამფუძნებელი კრება სარედაქციო კომისიის მიერ შეტანილ ცვლილებებს უცვლელად იღებს.

**მეორე (მუხლობრივი) განხილვა უქმე დღეების რიცხვის შემცირების კანონ-პროექტისა.**

**ალექსანდრე ასათიანი.** (ერ. დემ.) ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შეაქვს შესწორება I მუხლში, რომლის თანახმადაც ხსენებულ მუხლიდან არ უნდა ამოიშალოს ჩამოთვლილი უქმეები: მირქმა უფლისა, წითელი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე, მიძინება, ჯვარით ამაღლება, ტაძრად მიყვანება. ხოლო მათ მაგიერ ამოშლილ იქნეს ამ ჟამად მხოლოდ სამოქალაქო უქმეების რიცხვიდან ინტერნაციონალის და რუსეთის დიდ რევოლუციის I დღე.

ორატორი ამ შესწორებას იმით ასაბუთებს, რომ ასე ნაჩქარევად ისეთ უქმეების გაუქმება, რომელნიც ას წლობით აქვს ქართველ ხალხს შეთვისებული არ შეეფერება საკანონმდებლო დაწესებულების სიდინჯეს. საეკლესიო უქმეების გაუქმების დროს ჩვენ უნდა შევეკითხოთ ეკლესიას, რომელმაც ეს უქმეები დააკანონა. რაც შეეხება ინტერნაციონალის და რევოლიუციის I დღის გაუქმებას ეს ხალხის დიდ უმრავლესობაში არ გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას.

**ილია ფირცხალაიშვილი.** იურიდიულ კომისიის სახელით მოითხოვს, რომ წითელი პარასკევი დარჩეს უქმედ.

**გრიგოლ ნათაძე** (ს. რ.) ორატორი ფრაქციის სახელით პროტესტს აცხადებს იმ შესწორების გამო, რომელიც შემოიტანეს ეროვნულ დემოკრატებმა და მხარს უჭერს შრომის სამინისტროს კანონ პროექტს.

**ვლასა მგელაძე.** ორატორი მეტად აღშფოთებულია იმის გამო, რომ ეროვნულ დემოკრატებმა დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან გაბედეს ისეთი სიტყვების წარმოთქმა როგორიცაა: ამოიშალოს ინტერნაციონალი და რევოლუციის 1 დღე. ორატორი აცხადებს რომ საქართველოს დემოკრატიისათვის ინტერნაციონალი და რევოლიუციის 1 დღე უდიდესი დღესასწაულია და ხოშტრიას დამქაშებს, სპეკულიანტებს არა აქვთ უფლება ამ წმიდათა-წმიდას ასეთის ენით შეეხნენ. ჩვენ ევროპაში ინტერნაციონალით შევდივართ და ნუ თუ ეხლა ამ ინტერნაციონალის დღეს გავაუქმებთ. თუ დამფუძნებელი კრება ამას იზამს ჩვენ ერთი დღეც არ დავდგებით შიგ და თვით დამფუძნებელ კრებას გავრეკავთ. თუ კი საფრანგეთის მთავრობა ბასტილიის აღების დღეს დღესასწაულობს, ნიშნავს საგანგებო უფასო მატარებლებს პროვინციელ ხალხის ჩამოსაყვანად, რატომ საქართველოს მთავრობამ ინტერნაციონალის დღე არ უნდა დააწესოს უქმედ და უნდა აჰყვეს სპეკულიანტების აზრს?

**იესე ბარათაშვილი.** (ს.-ფ.) აღნიშნავს რომ ასათიანის წინადადება საეკლესიო უქმეების შესახებ მიუღებელია. ჩვენი დამფუძნებელი კრება უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა და იგი საეკლესიო უწყებას არაფერში არ დაეკითხება.

რაც შეეხება მეორე წინადადებას ეს ხომ ყოვლად მიუღებელია. რევოლიუციის პირველი დღის გაუქმება ყოვლად შეუძლებელია რადგან მან მოგვანიჭა თავისუფლება და ნუ თუ ჩვენი თავისუფლების დღე არ უნდა ვაუქმოთ? ასევე ითქმის ინტერნაციონალის პირველ დღეზე. ჩვენი დამოუკიდებლობა ჯერ-ჯერობით იცნეს ბერნში და ამსტერდამში და ნუ თუ ჩვენ ინტერნაციონალს გავაუქმებთ?

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელს მახარაძეს, რომელიც წინააღმდეგია ყველა შესწორებების.

დამფუძნებელი კრება კენჭის ყრით უარყოფს ორივე შესწორებას და იღებს შრომის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტს უცვლელად.

**მეორე (მუხლობრივი) განხილვა სასინჯაო სამმართველოს კანონ პროექტისა.**

მომხსენებელი **ალ. ასათიანი** მუხლობრივ კითხულობს კანონ პროექტს და შტატებს.

დამფუძნებელი კრება უცვლელად იღებს როგორც კანონ-პროექტს ისე შტატებს.

**მეორე (მუხლობრივი) განხილვა საზომ-საწონთა პალატის კანონ პროექტისა.**

მომხსენებელი **ალ. ასათიანი** მუხლობრივ კითხულობს ხსენებულ კანონ-პროექტს თავ დართულ შტატებით.

კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრების მიერ უცვლელად იქმნა მიღებული.

პრეზიდიუმში შემოსულ იურიდიულ კომისიის წინადადების თანახმად ხსენებული დეკრეტი დღიურ წეს-რიგიდან ამოიშალა.

**პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა მთავარი საბაჟო სამმართველოს და ფოთის და სოხუმის საბაჟოების შტატების გადიდების შესახებ.**

**დავით შარაშიძე** მოახსენებს კრებას, რომ ფოთის და სოხუმის მესამე ხარისხის საბაჟოებში ეხლა მეტად დიდი საქმეებია და ამიტომ საჭიროა შტატების გადიდება.

კრება ადგენს კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას, რაიც მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

**დეკრეტი 1.500.000 მან. გადადებისა საქონლის ჭირის ასაცრელ შრატის დამამზადებელ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.**

**მომხსენებელი ი. ირემაშვილი** მოახსენებს კრებას, რომ საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებულ შრატის სადგურისათვის ჯერ იქვე იანვარში შინაგან საქმეთა მინისტრი ითხოვდა 1 მილ. მანეთს. მთავრობამ ეხლ მიიღო $1^1/_2$ მილ. მანეთი. ეს თანხა საჭიროა იმ საქონლის შესაძენათ და მათ შესანახად, რომელთა სისხლისაგანაც მზადდება ასაცრელი შრატი.

კრება ხსენებულ დეკრეტს უცვლელად ღებულობს.

კრება იხურება 1 საათზე.

# ერობა

**სიღნაღის სამაზრო ერობაში.**

**წესდება დროებით სახელმძღვანელოდ სიღნაღის მაზრაში ახლად შემოღებულ სათემო თვითმართველობათათვის.**

ზოგადი დებულებანი.

1. სათემო თვითმართველობის უწყებას შეადგენს, თემის ფარგლებში, ადგილობრივი საჯარო მართვა-გამგეობისა და მეურნობის საქმეები.

2. სათემო თვითმართველობის უწყება ვრცელდება თემის მთელს ტერიტორიაზე, რომელიც შესდგება თემის საზღვრებში მოყოლებულ ყოველგვარ მამულებ საგან და პირებზედ, რომელნიც თემის ფარგლებში სცხოვრობენ.

3. სათემო თვითმართველობის დაწესებულებათა უწყების საგნებს შეადგენენ:

1) ადგილობრივ სათემო გადასახადთა და ბეგარათა გამგებლობა იმ ნორმით, რომელიც განსაზღვრული იქნება სამაზრო საერობო ყრილობის მიერ.

2) გამორკვევა, სამაზრო ერობასთან შეთანხმებით, თემის თვითმართველობის მონაწილეობის პირობებისა სამაზრო ერობის ხელმძღვანელობით და ხარჯით წარმოებულ ყოველგვარ საქმეებში.

3) თვითმართველობის თანხათა და სხვა ქონებათა გამგებლობა.

4) ზრუნვა სურსათისა და პირველი მოთხოვნილების საგნების გაძვირებისა და უშოვრობის თავიდან ასაცდენათ, მოწყობა პურისა და სასურსათო საწყობებისა. გამგებლობა „მაღაზიის ფულისა“ (სულის ფულისა), ხელის შეწყობა მომხმარებელ საზოგადოებათათვის სასურსათო დუქანთა, პურის საცხობთა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა გასამართავად.

5) წესიერ მდგომარეობაში შენახვა საერობო გზატკეცილებისა და ადგილობრივ სათემო გზებისა. ზრუნვა არსებულ სათემო გზათა გაუმჯობესება და გამშვენიერებაზედ, ახალი გზების გაყვანა, არხებისა და რუების გაყვანა, ხიდებისა და ბოგირების აშენება და სხვა.

**შენიშვნა:** საგზაო და საამშენებლო საქმეების შესახებ თემის თვითმართველობა წინასწარ უნდა შეუთანხმდეს სამაზრო ერობას.

6) მოწყობა და შენახვა სათემო ფოსტისა, ზრუნვა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დასაარსებლად.

7) ზომების მიღება ცეცხლის გაჩენის წინასწარ გასაფრთხილებლად და გაჩენილი ცეცხლის ჩასაქრობად. მოწყობა ცეცხლის მქრობელთა რაზმისა.

8) ზრუნვა სახალხო განათლებაზედ, მოწყობა და შენახვა სასწავლებელთა და ბიბლიოთეკა სამკითხველოებისა, ხელის შეწყობა და წახალისება ყოველგვარი სკოლის გარეშე განათლებისა, წიგნით ვაჭრობისა და სხვა.

9) ზრუნვა სახალხო ჯანმრთელობაზე, მოწყობა და შენახვა სამკურნალო დაწესებულებათა, როგორც საავადმყოფო, აფთიაქი და გამგებლობა ამ დაწესებულებათა.

10) ზრუნვა ღარიბ-ღატაკთა დასაფარავად, მოწყობა საქველმოქმედო დაწესებულებათა, თავშესაფარია და სამადლოთა ობოლთა და დავრდომილთათვის, აგრეთვე გამგებლობა ამ დაწესებულებათა.

11) ზომების მიღება და მონაწილეობა ერობისა და სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებში გასაუმჯობესებლად ადგილობრივ სანიტარულ პირობებისა და გადამდებ სენთან საბრძოლველად. სასაფლაოზედ ზედამხედველობის დაწესება.

12) ზრუნვა სავეტერინარო ზედამხედველობაზე საქონლის ჭირთან საბრძოლველად. მოწყობა და შენახვა საქონლის სასაკლაოთა და სხვა.

13) ხელის შეწყობა და დახმარება ადგილობრივ მიწათ-მოქმედებისა, ვაჭრობისა და მრეწველობისათვის. მინდვრების, ტყეების და ბაღ-ვ ნახების მავნეთაგან დაცვა. მოწყობა და შენახვა სახელოსნოებისა. ადგილობრივ მეურნეობისა, შინამრეწველობისა და მრეწველობის ნაწარმოებთა, აგრეთვე მანქანების, სამეურნეო იარაღების, თესლეულობის, გამაპოხიერებულ ნივთიერებათა და სხვათა გამოფენების მოწყობა.

14) დაქირავებული შრომის დაცვა, მოწყობა შრომის ბირჟისა არსებულ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა მიხედვით.

15) მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა. კანონთა და მთავრობის განკარგულებათა ახსნა-განმარტება.

16) სტატისტიკური ცნობების შეკრება.

17) მოწყობა წვრილი კრედიტის დაწესებულებათა.

18) ზრუნვა ჭაობიან ადგილების გაშრობის, უწყლო ადგილებში წყლის გაყვანის, ტყის გაშენებისა და მომქმედი ხევების გამაგრების შესახებ.

19) ზრუნვა სოფელთა და დასახლებულ ადგილთა უკეთესათ მოწყობაზე: გაფართოვება, მოკირწყვლა და გამშვენიერება ქუჩებისა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა თემის ყველა დასახლებულ ადგილებისა, განათება ქუჩებისა და გზებისა, კანალიზაციის მოწყობა, გაშენება საჯარო ბაღებისა წყაროებისა და სხვა.

20) დაკმაყოფილება კანონით სათემო თვითმართველობაზე დაკისრებულ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის მოთხოვნილებათა.

21) დაცვა საჯარო წესრიგისა და უვნებლობისა. გამგეობა სათემო მილიციისა (პოლიციისა) თანახმად მომქმედი კანონისა.

22) შესრულება მთავრობის, სამაზრო ერობის და სხვა დაწესებულებათა კანონიერ განკარგულებისა.

23) საგანგებო კანონებით და დებულებებით სათემო თვითმართველობათა უწყებაში გადაცემული საქმეები.

4. სათემო თვითმართველობას აქვს უფლება თემის სახელით, საერთო სამოქალაქო კანონების თანახმად, შეიძინოს და გასცეს ქონება, შეჰკრას პირობები, იკისროს ვალდებულებები, წარადგინოს სარჩელი და უპასუხოს სასამართლოში თემის საქმეებზე.

5. სათემო თვითმართველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თემის საბჭოს აქვს უფლება გადასახადი გააწეროს თემის ფარგლებში მდებარე ყოველგვარ უძრავ ქონებაზე და აგრეთვე დააწესოს ახალი გადასახადები, თანახმად ამის შესახები საგანგებო წესებისა.

6. სათემო თვითმართველობებს შეუძლიანთ თანახმათ საგანგებო წესებისა:

1) დასდონ თავიანთ შორის და აგრეთვე თვითმართველობის სხვა ორგანოებთან ურთიერთის თანხმობით საამხანაგო ხელშეკრულობანი.

2) შეადგინონ კავშირები და

3) მოაწყონ კონგრესები (სიეზდები).

(შემდეგი იქნება).

# მუნიციპალური ცხოვრება

**ფოთის თვითმართველობაში.**

ხმოსანი ლ. მ. ტულუში, ამბობს, რომ ბათუმიდან გადმოტანილი სახელოსნო გაუქმებულია ეხლა, სახელოსნოს მასალები და ნივთები რამოდენიმე ვაგონი წაღებულია და, როგორც ვიცით, თბილისის სადგურზე ვაგონებშივე, ამ სახელოსნოს განახლება და გახსნა მეტათ საჭირო არის და რა ზომას ღებულობს ქალაქი ამ ნივთების დაბრუნების და სახელოსნოს გახსნის შესახებ.

ქალაქის თავმა ა. ბ. კორძაიამ უპასუხა, რომ სახელოსნოს განახლების და მისი ნივთების დაბრუნების შესახებ მიღებულია ზომები და სრული იმედი, რომ ნივთებიც დაგვიბრუნდეს და სახელოსნოს გახსნაც მალე შევძლოთ.

—

ხმოსანი ს. გოგიბერიძე ეკითხება გამგეობას რა ქნა მან დიდი კურძულის მცხოვრებლების თხოვნაზედ, რომლებიც თხოულობენ თხრილების გაწმენდას და ქუჩებისათვის რუსული სახელების ქართულათ გამოცვლას.

გამგეობის წევრი ქუთათელაძე ამბობს, რომ, თხრილების გაწმენდა უნდა დაევალოს თვით მცხოვრებლებს თავის მამულის გარშემო, მხოლოდ უნდა მეთვალყურეობდეს გამგეობისაგან დანიშნული პირი, რომ თხრილები წესიერად და ზომით იქნას გაწმენდილი, რაც შეეხება ქუჩების სახელების გამოცვლას ამას გამგეობა ღებულობს მხედველობაში და მოკლე დროში შეიმუშავებს ამ საკითხს.

—

გამგეობის წევრი ქუთათელაძე კითხულობს მოხსენებას იმის შესახებ, რომ გამგეობას განზრახვა აქვს ააშენოს ბაზრის მოედანზედ დუქნები და ეს დუქნები გააქიროს კერძო პირებზე, ამ დუქნების გეგმაც წარუდგინა საბჭოს და სთხოვა ამის ნებართვა, რადგან ამის აშენება საჩქაროთ უნდა მოხდეს.

საბჭომ დაადგინა: მიეცეს ნება გამგეობას ააშენოს ათი დუქანი ბაზრის მოედანზედ სასურსათო განყოფილების ხარჯით, ხოლო უპირატესობა ამ დუქნების ქირაობაში მიეცეს იმ მოვაჭრეებს, რომლებიც აქ დროებით აწარმოებენ ვაჭრობას ძველ პატარა დუქნებში (ბუდკა), რომლებიც უნდა იქნას აღებული, რომ ახალი დუქნები გაშენდეს.

—

საყანე მიწებზე ბაჟის დადების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა გ. ს. ჩიტაიამ, რომელმაც გააცნო საბჭოს გამგეობის აზრი, რომ უნდა გადიდდეს მიწებზედ ბაჟი, პირველი ხარისხის მიწაზედ ქცევაზე 50 მანეთამდის, მეორეზედ—35 მან. და მესამე ხარისხის მიწაზედ 25 მან.

კამათის შემდეგ კითხვა გამორკვეულათ გამოცხადდა და კენჭი ეყარა კითხვას: დაედვას ბაჟი საყანე მიწებს, თანახმად გამგეობის მოხსენებისა თუ არა, გამგეობის მოხსენების მომხრე აღმოჩნდა 18 ხმოსანი და წინააღმდეგი 3. ამ ნაირათ, გამგეობის მოხსენების თანახმად, საბჭომ დაადგინა: გაიყოს მიწები სამ კატეგორიათ: პირველ ხარისხოვან მიწაზედ დაედვას ბაჟი 50 მანეთი, მეორეზედ—35 მანეთი და მესამეზედ—25 მან.

—

გამგეობის წევრმა გ. ს. ჩიტაიამ მოახსენა საბჭოს საავადმყოფოს აუცილებელ საჭიროებაზე და წარუდგინა შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და დასძინა, რომ საავადმყოფო მეტათ საჭირო არის და უნდა გავხსნათ რამდენიც უნდა დაჯდესო და სთხოვა საბჭოს ამის დასტური.

საბჭომ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: ეს საკითხი გადაეცეს საფინანსო კომისიას.

—

გამგეობის წევრმა გ. ს. ჩიტაიამ წაიკითხა მოხსენება აბანოს საჭიროებაზე ქალაქში და მოითხოვა ნება, ქალაქში არსებულ აბანოს საერთო განყოფილებას ქალაქისაგან იჯარით აღებისა რომლის შენახვა თვიურად დაჯდება 3700 მანეთი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაადგინა: მოწონებულ იქმნას გამგეობის მოხსენება იმ დამატებით, რომ არსებული აბანო აიღოს ქალაქმა მთლათ და მისი პირობების შემუშავება მიენდოს საფინანსო კომისიას.

—

გამგეობის წევრი პ. ი. ქუთათელაძე კითხულობს მოხსენებას ნახუტურში წისქვილის აშენების შესახებ და ამბობს, რომ მთხოვნელები თხოულობენ წისქვილის აშენების ნებას და კიდევაც დაწყებულია წისქვილის შენება სასაფლაოს წინ მინდვრის კუთხეში. მომხსენებელი თხოულობს ეს კითხვა ასე თუ ისე უსათუოდ დღეს იქნას გადაწყვეტილი.

კამათის შემდეგ კითხვა გამორკვეულად გამოცხადდა და შემოვიდა ორი წინადადება: 1) მიეცეს თუ არა მთხოვნელებს ნება გააშენონ წისქვილი დროებით. 2) გააშენოს ქალაქმა თავის ხარჯით თუ არა.

პირველი წინადადება საბჭოს მიერ იქმნა მიღებული 11 ხმით წინააღმდეგ ორისა, ხოლო მეორე წინადადება ქალაქის ხარჯით წისქვილის გაშენების შესახებ უარყოფილი 11 ხმით წინააღმდეგ ორის ხმისა.

—

გამგეობის წევრი პ. ი. ქუთათელაძე მოახსენებს საბჭოს, რომ საჭიროა გამოიცეს სავალდებულო დადგენილება ისეთი, რომ

მცხოვრებლებს დაევალოს თავიანთი მამულის წინ თხრილები გასწმინდონ და წმინდათ შეინახონ თვით მემამულეებმა და გაწმენდა უნდა მოხდეს ერთისა და იმავე ქუჩის უსათუოთ ერთსა და იმავე დროს გამგეობისაგან დაყენებული კაცის მეთვალყურეობით.

საბჭომ აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დაადგინა: დაევალოს თხრილების წმენდა მემამულეებს, თანახმად გამგეობის მოხსენებისა და თვითმართველობის შემუშავებულ სავალდებულო დადგენილებისა.

—

ქალაქის თავმა ა. ბ. კორძაიამ მოახსენა საბჭოს, რომ თვითმართველობის მოსამსახურეები მოითხოვენ 300 მანეთის მომატებას თვეში 1 იანვრიდან ეს კითხვა წინა სხდომაზედ გაარჩია საბჭომ და დააკმაყოფილა მოსამსახურეები 1 მარტიდან, მაგრამ ამ დადგენილებით ისინი არ დაკმაყოფილდენ და დაჟინებით მოითხოვენ 1 იანვრიდან დაკმაყოფილებას. ეს საკითხი მომრიგებელ კამერაშიდაც იყო და მორიგება მოხდა ეგრეთი: უნდა მიეცეს მოსამსახურეებს 300 მან. დამატება 1 თებერვლიდან იმ პირობით, რომ მარტის და აპრილის ომატება უნდა მიეცეთ უსათუოთ ამ აპრილში და თებერვლის მომატება კი 1 მარტიდან სამი თვის განმავლობაში წვრილ-წვრილათ.

საბჭომ ეს მოხსენება უკამათოთ მიიღო.

**სასურსათო საქმე.**

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა აცხადებს, რომ იგი ანაწილებს სარაიონო და ბინის კომიტეტებს და აგრეთვე სახელმწიფო საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეებს შორის (უკანასკნელთაგან წარმოდგენილ უნდა იქმნას სია მოსამსახურეთა და შაქრის ბარათები) 1—საპონს—ფუთი 296 მან. სულზე 3 გირვ., 2—პერლოვი კრუპას—212 მან. ფუთი თითო გირვ. სულზედ, 3—ლობიოს—90 მან. ფუთს სულზე 1 გირ., 4—ნახშირს 15 მან. ფ 20 გირ. სულზე, 5—და აგრეთვე განუსაზღვრელ რაოდენობით მარილს დაფქვილს 22 მან. ფუთს და ხვრიმს—18 მან. ფ., 6—სელდებს 93 მან ფუთს და 7—ტომატს—60 მან. ფუთს.

—

# საყურადღებო ხელ ნაწერები

პატივცემულო ბატონო რედაქტორო, მოგვიტევეთ, რომ ეს ხელთნაწერები გამოგვრჩა წინა წერილში და ვერ მოვიხსენიეთ, ეს შრომა გახლავთ ისეთი გარემოების შესახებ, რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში, ამიტომ უფრო ვედავთ თქვენ შეწუხებას. მეშვიდე ხელნაწერი გახლავთ შემდეგი:

**„ფარული საზოგადოების“** ისტორია, ამ საზ. გადოების დაარსება და მის მეთაურ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერანი. „ფარული საზოგადოების“ დაარსება. მისი არსებობა საიდუმლოდ და 1837 წ. გამოქვეყნება, რომელიც დაბეზღებულ იქნა დეკემბ. 9, 1832 წ. ევსეი ფალავანდოვისაგან შტაბის უფროს გენერალ ვოლხოვსკისთან. „ფარული საზოგადოების“ დაარსება ტფილისში და მისი წევრების დაპატიმრება.

„ფარული საზოგადოების წევრთა მიზანია საქართველოს განთავისუფლება რუსთაგან.

**ივანე ხელაშვილი,** „კალმასობის“ დამწერი სწერს ამ საზოგადოების წევრთა სამოქმედო გეგმას, იგი აუცილებლივ ითხოვს რუსთაგან საქართველოს განთავისუფლებას.

**სოლომონ დოდაშვილი,** დეკაბრისტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი და მოსწავლე პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწავლა დაამთავრა 1827 წ. საქართველოში ჩამოვიდა ამავ წლის ბოლომდე, 1828 წელს ტფილისში ქართული სტამბა გახსნა, ქართული გაზეთი „ტფილისის უწყების“ გამოცემა დაიწყო. ამან დაარსა ტფილისში „ფარული საზოგადოება“. ამანვე დაარსა მეორე გეგმა ამ „ფარული საზოგადოებისა“. გადაასახლეს რუსეთს, იქ მოკვდა სასჯელ მოუხდელი 1836 წ.

**ფილადელფოს კიკნაძე.** 1830 წელს, ტფილისში, სოლ. დოდაშვილის სტამბაში, პირველად ამან დაბეჭდა ქართული პროკლამაციები, რომლებსაც იგი ავრცელებდა მთის ხალხში, იგიც მოითხოვდა აუცილებლივ საქართველოს განთავისუფლებას, ესევე პირი იყო მელექსე. ამან დასწერა ლექსი „ალსდეგ გმირთ გმირნო, ნუ გძინავთ, მტერთა ისმიან ხმანია“ და სხვა ლექსები.

პოეტი **ალექსანდრე ჭავჭავაძე.** დაწვრილებითი აღწერა და ამის დამოკიდებულება „ფარულ საზოგადოებასთან“ გადაიცვალა 1846 წელს.

**სოლომონ რაზმაძე.** „ფარული საზოგადოებისა“ უმთავრესი წევრი და სხვა და სხვა ქვეყნებში მავალი „ფარული საზოგადოების“ საქმეების გამო. მწერალიც იყო.

„ფარული საზოგადოების“ ყველა წევრთა და მოღვაწეთა აღწერა შემოკლებით, რომელნიც კი მთავრობისაგან დაპატიმრებულნი იყვნენ და ციმბირს გაგზავნილნი დასასჯელად. ნ. ბარათაშვილის ჩხრეკა და მცირე ხნით დაპატიმრება ამ „ფარული საზოგადოების“ წევრობის გამო და სხვაც ბევრი რამ ცნობები. სულ ერთ წიგნად გახლავთ აკინძული და იგი წარმოადგენს დაუფასებელ განძს ქართული ერის ისტორიისათვის.

მერვე წიგნი არის ხელთნაწერი პატარა ზომის შემდეგი სათაურით:

**გერმანელთა და პრუსიელთა მსწავლულნი და მოგზაურნი საქართველოში**

დოქტორ კინგესი მეფე ერეკლეს კარზედ, აკადემიკ პულდენშტეტი იმავე მეფის დროს, ვიცენი, პოსონი და ბევრნიც სხვ ნი, რომელნიც ქართველ მეფეთა კარზე სცხოვრებდნენ და საქართველოს სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

ზ. ჭ.

—

# საგანგებო სასამართლოში

**დუშეთის ამბოხება**

საგანგებო სასამართლოს უკვე წარედგინა დუშეთის ამბოხების საქმე, რომელიც უნდა განიხილოს ამ სასამართლომ.

—

# მილიციაში.

**განსაკუთრებულ რაზმში**

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსმა კიდევ დაატუსაღა პავლე იაკობის ძე ნიკიტინი, რომელიც მსახურებდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს სამხედრო—ტოპოგრაფიულ განყოფილებაში და რომელსაც განუზრახავს გაეტანა საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში მთელი ტოპოგრაფიული კომპლექტი, რომელიც მას ებარა. როგორც მისი საბუთებიდან სჩანს მას უნდოდა შესვლა მოხალისეთა რაზმში და ტოპოგრაფიული იარაღები კი უნდა წარედგინა, როგორც ტროფეა, რისთვისაც რიგ გარეშე მიიღებდა ადგილს.

ნიკიტინი ყველაფერში გამოტყდა. ის გაგზავნეს სამხედრო სატუსაღოში, საქმე კი სათანადოთ გადაეცა.

—

**განცხადებანი**

ვექილობა № 4258, მიცემული ნიკო ბაღდასარიანის მიერ კარაპეტ ნიკიტის ძე ადამიანცზე 1918 წ. ოქტომბრის 25-ს ტფილისის ნოტარიუს ქართველოვთან შედგენილი, გაუქმებულათ ითვლება. 777 3—1

—

აბელ აბელის ძე კალატოზიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო: 1) პასპორტი, აღებული, ტფილისის მილიციის სამმართველოდან, 2) რკინის გზის დუბლიკატი. 3) 1400 მანეთის ვექსილი. 4) სოფელ ქოღელის კოოპერატივის მოწმობა სხვ და სხვა საქონლის შესაძენად. და სხვა და სხვა ბარათები. მპოვნელს სთხოვენ ზემო აღნიშნული საჭირო ქაღალდები გაგზავნოს მილიციის სამმართველოში კალატოზიშვილის გადასაცემათ, რისთვისაც ჯილდოდ დაიტოვოს ის 6400 მ. რომელიც საფულეში იყო ქაღალდებთან ერთად. 773 3—1

—

ლუკა ალექსანდრეს ძე ცისკარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც აღებული ჰქონდა 1907 წელს, მაისის 25-ს № 3594 ბაქოს პოლიცმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი დღიდან განცხადებისა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 776 3—1

—

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მცხოვრების სოფელს ტყ ჩირში ქუთაისის მაზრისა, მოქალაქე ესტატე ვახტანგის ძის ხუციშვილისას, რათა განაცხადონ თავის მემკვიდრეების უფლება ექვსი თვის განმავლობაში, იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა ხსენებულ ხუციშვილს, თანახმად 1241 მუხ. მეათე ტომისა, სამოქალაქო დებულებისა. 1046 1—1

—

ურბნისის საეპარქიო სასამართლოში 1919 წლ. ივნისის 14-ს ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე ქარუმიძემ შემოიტანა საჩივარი თავისი კანონიერ ცოლთან ალექსანდრა სიმონ პეტროვის ასულთან განქორწინების შესახებ. საეპარქიო სასამართლო იწვევს ქ-ნ ალექსანდრა ქარუმიძეს საქმის გარჩევაზე დასასწრებლად ქ. გორში. უკეთუ იგი არ გამოცხადდება ერთი თვის განმავლობაში, მაშინ საქმეს მიეცემა მსვლელობა და განაჩენი დადგინდება მის დაუსწრებლად. 765 1—1

—

3 აპრილს 1919 წ. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მე 610 ნომრით „შვიდი მნათობის“ თამბაქოს ფაბრიკას მოწმობა მისცა ათის წლის ვადით განსაკუთრებულ სარგებლობისა ზემოაღნიშნულ ფაბრიკის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ საქონლის ნიშნისა. 1059 1—1

—

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სპარსეთის ქვეშევრდომ ბაგრატ ლაჩინოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 15 3—1

—

ქ. ტფილისის I სამომრიგებლო განყოფილების ბოქაული სვიატოდუხოვი აცხადებს, რომ 1919 წ. ივნისის 24 ს, დილის 10 საათ. მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიყიდება ალექსანდრე გულისოვის უძრავი ქონება ევდოკია ბობრანოვას ვალის დასაკმაყოფილებლათ, ქონება შეიცავს ჩაის სერვიზს „ფრაჟეს“ და შეფასებულია 400 მ. ვაჭრობა მოხდება I სამომრიგებლო განყოფილების ბინაზე. 775 3—1

—

დაკარგულია კვიტანცია „კავკაზ და მერკური“ და „ვოსტოჩნოე“ სი № 323141 მოსკოვიდან ტფილისში ტვირთის გამოგზავნის მ. ბ. არზუმანიანცის სახელზე. კვიტანცია გაუქმებულათ ითვლება. 774 3—1

—

ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია აცხადებს, რომ ამა წლის 16 თიბათვის დღის 12 საათზე დისტანციის შენობაში (საინჟინერო ქ. № 2) დანიშნულია ვაჭრობა პირადი და დახურულ განცხადებების შემოტანით თავისუფალი სახაზინო მიწის ზომით 671,80 კვ. საჟ. იჯარით გაცემისა, 1—2 წლის ვადით, რომელიც ანასტასიის ქუჩის ბოლოში, —იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ახლოს მდებარეობს, შემდეგ პირობებში: საიჯარო გადასახადი წინდაწინ უნდა იქნეს შეტანილი; მოიჯარადრეს ნება აქვსააგოს დროებითი შენობები, რომლიდანაც საიჯარო ვადის ბოლოში მიწა უნდა გაიწმინდოს, მიწის ზედაპირის შეცვლა დისტანციის ნებადაურთველად აკრძალულია. 1055 3—2

—

ანა გრიგორის ასული წვეთიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული სომხების კონსისტორიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვლება დღიდან განცხადებისა. 769 3—2

—

ტაისა არტემის ასული ხიუნიშჩენკო (გოგოლევა) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი კლასის მოწმობა მიღებული ყარსის ქალთა გიმნაზიის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 770 3—2

—

ეკატერინე ფრანცის ასული კუნცოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელები აღნიშნული ტფილისის ნოტარიალურ არქივის 1908 წ. წიგნში № 3, ნაწ. 3, რეესტრი №№ 1719, 461, 1481 385. სიგელები გაუქმებულათ ითვლება. 768 3—2

—

გიორგი ევგენის ძე ევანგულოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგდა პასპორტი № 16832 რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 757 3—3

—

1919 წელსა ივნისის "10" დღესა გორის სამაზრო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ გორის მაზრის სოფელ ყელქცეულის მცხოვრებმა ელიაზარ პავლეს-ძე გამეხელმა და სიკო დავითის ძე ჩიტაძემ დაჰკარგეს კვიტანციები გორის მაზრის სარეკვიზიციო კომისიისა №. 65 და 67, მიცემული მათ ორი ცხენის რეკვიზიციის გამო წარსულ წლის ქრისტიშობისთვეში. დაკარგული კვიტანციები გაბათილებულად ჩაითვალოს, რადგან ზემოხსენებულ პირებს ეძლევათ დუბლიკატები.
1053 1—1

—

24 აპრილს 1919 წ. ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ მე 701 ნომრით ტეხნოქიმიურ ლაბორატორია „ალფას“ მოწმობა მისცა ათის წლის ვადით განსაკუთრებულ სარგებლობისა ზემოაღნიშნულ ლაბორატორიის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი საქონლის ნიშნისა. 1059

—

მიწათ მოქმედების სამინისტროს საძოვარ საიჯარო განყოფილება ამით აცხადებს ყოფილ მემამულეთა საყურადღებოდ, რომ ამა წლის 24 თიბათვიდან მიმღები კომისიები შეუდგებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საზაფხულო საძოვრების მიღებას, თანახმად 16 დეკემბრის 1917 წლის დებულებისა და 1918 წლის დებულების კანონისა. 1051 1—1

—

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აკიმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 1905 წ. მარტის 21, რეესტრი № 618. სიგელი გაუქმებულათ ითვლება დღიდან განცხადებისა. 772 3—2

—

თამარა ივანეს ასული იუზბაშევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ქუჩაზე პასპორტი, რომელიც მიღებული იყო მილიციის სამართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 752 3—3

—

მეხეტი ზეინალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქართველოდან აზერბეიჯანში მოცვის ჩაის გატანის ნებართვა, მიღებული სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს კანცელარიიდან, № 3594. ნებართვა გაუქმებულათ ითვლება დღიდან განცხადებისა. 753 3—3

—

რადგან ქ. ტფილისში და ტფილისის, გორის და სიღნაღის მაზრებში უკვე შესდგა მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობა ის ფული და ნივთები, რომელნიც მოვალეებს, თანახმად სამ. სამ. წარ. წ. მე-1460-29 მუხლისა, თვისი ნებით შეაქვთ ხაზინაში გარდამხდელთა და აკმაყოფილებლად და შეადგენენ საგანს რაიმე ვალდებულობისას, შემდეგში უნდა შეტანილ იქნეს სათანადო ხაზინაში ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის დეპოზიტში. ის თანხა კი, რომელიც შეადგენს საგანს რაიმე ვალდებულებისას, უზრუნველყოფილს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებით ხაზინის მიერ ჩაირიცხება ოლქის სასამართლოს დეპოზიტში.
1047 1—1

—

ხონის სამომრიგებლო უბნის მომრიგებელი ქუთაისის მაზრის მოსამართლე იწვევს დღეიდან ამა განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში უშვილოთ გარდაცვალებულის მცხოვრების სოფელ გუბში ქუთაისის მაზრისა თედორე თადეოზის ძე ესაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხსენებულ ესაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ მამულებზე და ქონებაზე 1045 1—1

—

მიწათ მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 19 ივნისის შუადღის 12 საათზე განყოფილების სადგომზე (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 მეორე სართული) მინისტრის ნებართვით დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა ამ წლის მოსავლისა შემდეგი ეროვნულ მამულების ხეხილის ბაღებისა: სკრის (ყოფილი ავსარქისოვის და ფრიდონოვის), მუხრანის ყარაიაზის საცდელ მინდვრის, ყოფილი არამიანცის და მანთაშოვის მამულებისა ბორჩალოს მაზრაში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება ერთ მანეთიან. ღერბის მარკით და ბეჯ 30% იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. 1957 2—1

—

**ს. ბახვში (ოზურგეთის მაზრა) ადგილობრივ მეპარკეთა ამხანაგობის საწყობში იყიდება ორი წლის ხმელი**

# აბრეშუმის პარკი

დაახლოებით 160 ფუთი. მყიდველს შეუძლია მოელაპარაკოს ბახვში სერაფიონ ჭელიძეს. 780 2—1

—

# 500 მ. ჯილდო მას

ვინც წარმოადგენს „ბრაუნინგის“ სისტ. რევოლვერს № 117029 დაკარგულს გოლოვინის პროსპექტზე. ძვირფასია როგორც სახსოვარი. ვოგზლის ქ, შიხინოვის აფთიაქი.
778 1—1

—

# ქალაქ სენაკის საბჭოს ხმოსანთა

ხელ-ახალი არჩევნები დანიშნულია ამა 1919 წლის 22 ივნისს დღით კვირას (ახალი სტილით) არჩევნები იწყება დილის 9 საათზე და გასტანს საღამოს 9 საათამდე ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამომრჩეველნი პირადობის ბარათებს მიიღებენ გამგეობაში

ვინც არ არის ჩაწერილი საარჩევნო სიაში, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია ქალაქის გამგეობის ბინაში გაკრულ ცალკე ფურცლებზე შეუძლია ამაზე განაცხადოს გამგეობაში დღეიდან ორი დღის განმავლობაში.

ქალაქის გამგეობა.
1058 1—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე.